ცნობის ფურცელი

№ 1789 ყოველ-დღიური გამოცემა 1896—1902 ხუთშაბათი, 25 აპრილი № 1789

გაზეთის ფასი: წელიწადში—6 მან., თვეში—75 კაპ., ცალკე ნომერი—3 კაპ., ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი „პეტიტით" პირველ გვერდზე—10 კ., მეოთხეზე—5 კაპ.
ხელის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება: „მოამბე"-„ცნობის ფურც." რედაქციის კანტორაში ვანქის დიდ ქუჩაზე, № 27 და წ. გამ. ქართველთა ამხანაგობის კიოსკში (ქაშვეთის ეკკლესიის პირდაპირ).

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელობაზე უნდა გამოიგზავნოს.—პირდაპირ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეებ.ს გარდა, შუადღის 11—1-ლ საათამდე.
ფოსტის ადრესი: Тифлисъ, въ редакцію „Цнобисъ-Пурцели"-„Моамбе". ტელეფონი № 372.

ყოველ დღიური გაზეთი
„ცნობის-ფურცელი"
სურათებიანი დამატებით

1-ლ მაისიდან წლის დამლევამდე ტფილისში დარიგებით და ქალაქგარეთ გაგზავნით (რუსეთის იმპერიაში) ღირს 4 მან. და 50 კაპ.

ადრესი: Тифлисъ, редакція «Цнобисъ-Пурцели» (Большая Ванкская ул., домъ Мартирузова).

სავიზიტო ბარათების და თამბაქოს ფაბრიკების საყურადღებოდ.

ქართველთა ამხანაგობის სტამბაში ახალს დიდს ხალისავ მანქანაზე ასწორებენ და ჭრიან ქაღალდისა და თამბაქოს საჭრელ მანქანების დანებს.

ტფილისის
კერძო სამკურნალო
მიხეილ გედევანიშვილისა.

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა

დ ი ლ ი თ:

კ. ი. ჭიჭინაძე—კბილის სნეულებანი 8—10 საათამდე.

მ. ა. გედევანიშვილი—ნერვებისა 9—10 საათამდე. ხუთშაბათს და შაბათს გარდა.

ი. ბ. ფეოდოროვი—შინაგანი და საბავშვო 9—10 საათამდე

ბ. ბ. მაღალაშვილი—შინაგანი 10—11 საათამდე, სამშაბათობით და ხუთშაბათობით.

ვ. დ. ლამბაშიძე—შინაგანი 10—11 საათამდე. სამშაბათობით და ხუთშაბათობით 1—2 საათამდე.

ი. კ. ახალშენიშვილი—კბილის სნეულებანი 10—12 საათამდე.

ნ. ტ. მულიენი—ყურისა, ყელისა და ცხვირისა 10—11 საათამდე.

კ. მ. ელიოზიშვილი—შინაგანი და ბავშვების 11—12 საათამდე.

ა. ბ. ბარსუკოვი—დედათა სნეულებანი, ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკევობით 12—1 საათამდე.

დ. ა. გედევანიშვილი—შინაგანი, ნერვების და წამლობა ელექტრონით 12—1 საათ.

ბ. მ. ამბარდანოვი—სიფილისისა, კანისა და საშარდესი 1—2 საათამდე.

სტ. ალ. ვოინო—ხირურგია ორშაბათობით, ოთხშაბათობით და შაბათობით. 1—2 საათამდე.

ს ა ღ ა მ ო თ ი:

ი. ნ. თუმანიშვილი—დედათა სნეულებანი 5—6 საათამდე.

ა. ბ. მაღალაშვილი—შინაგანი ბავშვებისა და ყვავილის აცრა 5—6 საათამდე. (მიკრო-ქიმიური და ბაქტერიოლოგიური გამოკვლ.)

ბ. მაღალაშვილი—კვირაობით, 10—12 საათამდე.

სამკურნალოს აქვს საწოლი ოთახები.

ფასი რჩევისა და დარიგებისა 50 კაპ.; ოპერაციები და კრაოტები—მორიგებით.

ადრესი: კუკია, ნიკოლოზის ქუჩა, სახლი საგინაშვილისა, № 21. (ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ). ტელეფონი № 274. (წლ.)

ე ქ ი მ ი
ვახტანგ ლამბაშიძე

შინაგანის და საბავშო სნეულებით ავადმყოფებს იღებს დილის 9—10-მდე და საღამოს 5—7 საათამდე. რეუტის ქუჩა № 24 ტელეფონი № 642.

კავკასიელ სტუდენტების დამხმარებელის საზოგადოების დამფუძნებელნი, საზოგადოების წესდების მე-7 და მე-38 §§-ის ძალით, იწვევენ ყველას, ვინც გამოაცხადა სურვილი წევრად ჩაწერისა და ვინც თანაუგრძნობს საზოგადოების საქმეს, მოვიდნენ **საზოგადო კრებაზე**, რომელიც დანიშნულია არტისტიულ საზოგადოების შენობაში შაბათს, 27 აპრილს, საღამოს 8 საათზე.

განსახილველი საგნები:

1) გამგეობის 9 წევრისა და 6 კანდიდატის არჩევა და

2) სარევიზიო კომისიის 5 წევრისა და 2 კანდიდატის არჩევა. (უ. 3—2)

ე ქ ი მ ი
ალექსანდრე გიორგის ძე
მაღალაშვილი

იღებს ყოველ-დღე შინაგანისა და საბავშო სნეულებით ავადმყოფებს დილით 12—2 საათამდე და საღამოთი 4—5-მდე მიიღებს აგრეთვე საქმეს: ქიმიურ, მიკროსკოპიულ და ბაქტერიოლოგიურ გამოკვლევათა. ოქრო-მჭედლების ქუჩა, № 40, თუ. ლაევის სახლი.

ქართული თეატრი
ხუთშაბათს, 25 აპრილს 1902 წ.
ქართული დრამატიული დასის მიერ
წარმოდგენილი იქნება
« დაკლებულის ფასებით »
ვლ. ალექსეევ—მესხიშვილის მონაწილეობით
ყაჩაღები
ტრაგ. 5 მოქ. შილლერისა, თარგ. ნ. ავალიშვილისა.

მონაწილეობენ: ქალ-ნნი გარგარეთელი, სარიძე და სხვ.

ბატონნი: ვლ. მესხიშვილი, გუნია, სვიმონიძე, შათირიშვილი, ავალიანი, იმედაშვილი, საფაროვი, ივანიძე, რომანიშვილი.

დასაწყისი $8^1/_2$ საათზე. ფასები დაკლებულია.

რეჟისორი **ვ. გუნია.**

მზადდება „**ოტელო**" და „**ურიელ-აკოსტა**".

კრებების სეზონი

გაზაფხულის დადგომას ყოველთვის განსაკუთრებულის ინტერესით და სიამოვნებით ვეგებებით. აპრილი და მაისი არამც თუ ბუნების გამოღვიძების დროა, როდესაც ყველაფერი მწვანეთი, და ყვავილებით იმოსება, მომცინარე მზის სხივები სახეს გვინათებს, გული მეტის ძალით სცემს, სისხლი სისწრაფით მოძრაობს, საზოგადოდ ფიზიკური სიცოცხლე გაცილებით უფრო ენერგიულია, გაზაფხული გონების გამოღვიძების ხანაცაა. ვიკრიბებით, საზოგადო საქმეებს ვიკვლევთ, ვიხილავთ, თვალს გადვავლებთ გაკეთებულს საქმეებს, გასაკეთებელისას გეგმას ვადგენთ, ანგარიშს ვაძლევთ ჩვენს თავს, საზოგადოებას, ხალხს, როგორ ვმოქმედობდით და როგორ უნდა ვიმოქმედოთ მომავალში. ახლა, ამ გაზაფხულში ყოველი ჩვენი საზოგადო საქმე და დაწესებულება გამოეცხადება ქვეყანას, დაენახვება, ამცნევს თავის ვინაობას. საზოგადო ცხოვრება ბუნების ცხოვრებასთან ერთად გაზაფხულში უფრო ძლიერია, ენერგიული და საგრძნობელი.

წერა-კითხვის საზოგადოების კრება, სხვადა-სხვა არჩევნები, ბანკების კრებები, მეაბრეშუმეთა კრებები გუბსა, ოზურგეთსა და ლანჩხუთში, თავად-აზნაურთა კრებები, დრამატიულის საზოგადოების კრება, მარგანეცის მწარმოებელთა კრება, (თუმცა ეს უკანასკნელი წელს შემოდგომაზე მოხდება; არა ჩვეულებრივი კრება კი მარტის გასულს იყო)—აი ჩვენი საზოგადო მოღვაწეობის ასპარეზი. აქ ყველაფერია, ყოველივე დარგი: ხელოვნება, სწავლა-განათლება, სამრეწველო და ფინანსიური საქმეები, თავად-აზნაურთა წოდებრივი ინტერესები. ეს ბევრი არ არის, ძლიერ ცოტაცაა. განათლებულ ევროპის ქვეყნებში საზოგადო ცხოვრება ძლიერ ფართოა, დიდი ასპარეზი უკავია მას, იქ ყველანი ერთდებიან და კავშირდებიან, ერთად მოქმედობენ და იცავენ ინტერესებს; იქ დიდი ხანია შეიგნეს და კარგადაც შეიგნეს შეერთების ძალა, საზოგადო ცხოვრების მოთხოვნილებ; იქ ყველაფერი გასაზოგადოებრივობის გზას დაადგა...

ჩვენ ჯერ შორსა ვართ ამაზედ. რამდენად მეტია ხალხში საზოგადოებანი, იმდენად მეტად კულტურულია ერი. ჩვენ კი ვერ ვუწოდებთ დღეს ჩვენს თავს განათლებულ ერად...

ჩვენში არსებულ საზოგადოებათ და მათ კრებებს ჯეროვანად არ ვაფასებთ და შესაფერის ინტერესით არ ვეკიდებით. არის ისეთი კრება, რომელშიაც რაღაც გაუგებარის თავ-გამოდებით ვიღებთ მონაწილეობას, არის ისეთი, რომელსაც სრულიად უსაბუთოდ გულ-გრილად ვუყურებთ. ყველაზედ უწინარესს ჩვენში სათავად-აზნაურო თვით-მმართველობა შემოიღეს და საადგილ-მამულო ბანკები დააარსეს; ესენი იყვნენ პირველი ასპარეზი საზოგადო ცხოვრებისა. ყველანი დიდის იმედებით და ინტერესით მიეგებენ მათ. მაშინ შეგნებულს და განათლებულს ელემენტს მხოლოდ თავად-აზნაურობა წარმოადგენდა და თუ წოდებრივი თვით-მმართველობა და ბანკები არაფერს აძლევდა მაინცდამაინც საზოგადოებას, ეს უკანასკნელი საზოგადო ცხოვრებისათვის მაინც იწვრთნებოდა. შემდეგ დავაარსეთ (ქალაქის თვით-მმართველობა რომ არ მივიღოთ მხედველობაში) გაცილებით უფრო მნიშვნელობიანი, ნაყოფიერი და სასარგებლო საზოგადოებანი—წერა-კითხვის გამავრცელებელი და დრამატიული; უკანასკნელ წლებში, მრეწველობამ ფეხი მოიკიდა ჩვენში, მრეწველებმა საჭიროდ დაინახეს საერთო საქმეების ერთად მართვა, დაარსდა შავის ქვის მწარმოებელთა კრება, მეაბრეშუმეთა ამხანაგობა გუბში, ამგვარივე ამხანაგობა გურიაში და სხ.; არსდება სხვა-და-სხვა სოფლებში სავაჭრო საზოგადო მაღაზიები, სამრეწველო ამხანაგობანი.

ჩვენ მაინც ძველს ტრადიციებს მივსდევთ. ჩავცივებივართ და თავს ვაკლავთ სათავად-აზნაურო კრებებს და ბანკებს, გვგონია, რომ მათგანაა დამოკიდებული საზოგადოების ბედი და იღბალი.*) სათავად-აზნაურო კრება ან ბანკის კრება დღესაც კიდევ მთელი ამბავია ჩვენში, სოფლებიდან ჩამოდიან ტყვილად მაყურებლები. სამაგიეროდ, როდესაც წერა-კითხვის ან დრამატიულის საზოგადოების კრებაა დანიშნული, არასოდეს არ მიდიან წევრები და კრება ყოველთვის შემდეგისათვის გადასადები ხდება. შავის ქვის მრეწველთა და სხვა მრეწველთა კრებას ხომ უკანასკნელ დღემდის სრულიად ყურადღებას არ აქცევდა ჩვენი განათლებული საზოგადოება. აბა როგორ ეკადრება მას ამისთანა უბრალო, „შავი საქმეებით" დაინტერესება!...

დროა, შეგნებულად შევხედოთ ყველაფერს, დავტოვოთ წინანდელი გზა. ჩვენი ძალ-ღონე მოვანდომოთ იმას, რაც ნამდვილი საქვეყნო საქმეა. ნუ თუ წერა-კითხვის გავრცელება უფრო დაბლა დგას ჩვენთვის, ვიდრე რომელიმე ბანკი? ქართული თეატრის ზრდა და განვითარება ათ-წილ უფრო სასარგებლო დანაყოფიერი არ არის, ვიდრე ზოგიერთა სხვა კრებები? სირცხვილი არ არის, რომ უფრო ვებლაუქებით ისეთს საქმეს, რომელიც ათი-ათასობით მოგებას გვაძლევს და მცირე ყურადღებას ვაქცევთ ისეთს საქმეს, რომელიც მილიონობით იძლევა მოგებას? საქვეყნო ფიქციებს თავ-გამოდებით ვემსახურებით და ნამდვილ საქმეებს არაფრად ვაგდებთ.

კალამი.

---

*) ბანკები სკოლებს ინახავენ, ამის მნიშვნელობას არ უარვყოფთ.

საზღვარ-გარედ

სამხრეთ-აფრიკა. კარგა ხანია არავითარი ცნობები არ გვქონდა მოყვანილი სამხრეთ-აფრიკის ომიანობის შესახებ და ეს მოხდა იმიტომ, რომ არც ერთი სარწმუნო ამბავი არ მოსულა ომის ველიდან.

ვიცით, რომ კიტჩენერს მოლაპარაკება ჰქონდა პრეტორიაში ბურების მეთაურებთან, მაგრამ როგორ გათავდა ეს მოლაპარაკება ან თუ გათავდა, არაფერი იციან. გაზეთებმა შეგვატყობინეს, რომ ბურების წარმომადგენლები წავიდნენ პრეტორიიდანო. რას ნიშნავს ეს წასვლა—იმას, რომ ვერ მორიგდნენ კიტჩენერთან და მოლაპარაკება საბოლოოდ შეწყდა, თუ იმას, რომ მათ სურთ მოელაპარაკონ ბურებს და ამის შემდეგ ისევ განაგრძონ დროებით შეწყვეტილი მოლაპარაკება?

ამ ბოლო დროს მეტ წილად პესიმისტიურად უყურებენ საქმეების მიმდინარეობას—ბურები და ინგლისელები ვერ შეთანხმდნენ და ომიანობის ბოლოც აღარ სჩანსო. ასეთ შეხედულების გავრცელებას ხელს უწყობს კრიუგერის ქცევა—იგი წინანდებურად გაიძახის, რომ ზავის ჩამოგდების იმედი ინგლისელების მოჭორებულია; ბურები არ დასთანხმდებიან ზავის ჩამოგდებას, სანამ სრულ დამოუკიდებლობას არ მიანიჭებენო. მაგრამ არც სულ გამქრალა იმედი ზავის ჩამოგდებისა. თუ „ნოვ. ვრემია"-ს ლონდონელ კორესპონდენტს დავუჯერებთ, „ბურების მეთაურები განაგრძობენ თათბირს მებრძოლ ბურების რაზმებთან. თათბირის ვადა გადადებულია 25 მაისამდე, როცა ქ. ფერეინიგუნტში მოხდება ინგლისელებისა და ბურების კონფერენცია. ჰფიქრობენ, რომ ბურები თანახმა არიან დამორჩილდნენ, მაგრამ მტკიცედ თხოულობენ აფრიკანდერების ამნისტიას. ლონდონში ამტკიცებენ, რომ ინგლისელები არ დაუთმობენ."

ასეთსავე ცნობებს იწერება „მოსკ. ვედ."-ს კორესპონდენტი იმ განსხვავებით მხოლოდ, რომ არის ერთი ნაწილი შეურიგებელ ბურებისა, რომელიც თავის დღეში თანახმა არ იქნება მიიღოს ინგლისის პირობებიო.

როგორც ვხედავთ, გადაწყვეტით ეხლა მხოლოდ იმის თქმა შეიძლება, რომ ჯერ ზავის ჩამოგდება ახლო არ არის, და ეს ხომ წინადაც ვიცოდით.

⁂ ოფიციალურ ანგარიშიდან სჩანს, რომ ინგლისს აქამდე დახარჯვია სამხრეთ-აფრიკის ომიანობის გამო ორი მილიარდი და 230 მილიონი მანეთი, ე. ი. იმაზე მეტი, რაც საფრანგეთმა გადაუხადა გერმანიას 1871-ში.

ამერიკა. გუშინ გაკვრით გვქონდა მოხსენებული ის ამბავი, რომ ამერიკელებმა შეადგინეს დიდი ტრესტი სავაჭრო ფლოტისა და შეისყიდეს ინგლისელ და გერმანელ კომპანიების გემები. ზოგიერთ კორესპონდენტების სიტყვით, ინგლისში ეხლა ამ ამბავზე სამხრეთ-აფრიკის ომზე მეტს თუ არა, ნაკლებს არ ლაპარაკობენ, და, მართლაც, მეტად საყურადღებო მოვლენაა.

აქამდე ამერიკის საოკეანო სავაჭრო ფლოტი, შედარებით, მცირე იყო. მაშინ როდესაც დიდ-ბრიტანიას 346 საოკეანო გემი აქვს, ამერიკას სულ 36 ჰქონია. მაგრამ „ყველაფერი ჩემი არისო"—სთქვა ოქრომ და ოქრო ხომ ამერიკელებს ბევრი აქვთ. განთქმული მილიარდერი და ტრესტების შემდგენი პირპონტ მორგანი შეუდგა სავაჭრო ფლოტის ტრესტის შედგენას და საკვირველის სისწრაფით შეადგინა კიდეც. ზღაპრულ ფასის შეძლევით ახალმა ტრესტმა ერთბაშად

შეიძინა ინგლისელ სანავოსნო კომპანიებიდან ოთხმოც და-თექვსმეტი საოკეანო გემი, რომელნიც ამერიკისა და ინგლისის ნავთსადგურებ შორის მიმოდიოდნენ.

ინგლისის საზოგადოება აქამდე გონს ვერ მოსულა ასეთის მოულოდნელის და დიდმნიშვნელოვან ფაქტის გამო. „არმადის" დაღუპვას (მეთექვსმეტე საუკუნეში ინგლისელებმა საშინლად დაამარცხეს ესპანიის ფლოტი) არ მოუხდენია ისეთი შთაბეჭდილება ესპანიის მეფე ფილიპე მეორეზე, როგორც ამერიკელების ტრესტის შექმნამ და დიდ-ძალ ინგლისელ სავაჭრო გემების გაყიდვამ ინგლისელ საზოგადოებაზეო, სწერს ერთი კორესპონდენტი; ჯერ კიდევ გუშინ იმ რწმენით მიდიოდა ინგლისელი დასაძინებლად, რომ ინგლისი „ზღვების მეფეა", დილას კი მას ესმის, რომ ეს იყო და აღარ არის და რომ „ტალღების მბრძანებელი" ინგლისი კი არ არის, არამედ ამერიკელი ბანკირი მორგანი.

ამიტომ საკვირველი არ არის, რომ საზოგადოებაში და პრესაში ნამდვილი პანიკა გამეფდა. სერიოზულ გაზეთებშიაც კი გაისმის—„სამშობლო საშიშარ მდგომარეობაში არისო." რა მოგვივიდაო, კითხულობს „დეილი ნიუს"-ი, დავკარგეთ ჩვენი სავაჭრო ნიჭი, თუ ჩვენ მრეწველობას აღარა აქვს საქმიანობისა და შემოქმედების უნარი? ან შეიძლება ჩვენ ისე ვართ შებორკილი იმ ხარკისაგან, რომელსაც ვაძლევდით მემკვიდრეობით უსაქმურებს—ჩვენებურ მიწად-მფლობელობის სისტემით, მონოპოლიებით და უსაქმურ კლასების სხვა დამასუსტებელ ტრადიციებით? დროა პირდაპირ შევხედოთ ამ კითხვებს. ინგლისის სამ კომპანიის გემების ამერიკელების ხელში გადასვლა ჩვენის ამაყობის შელახვაა. „დეილი ნიუს"-ი, დამცველი თავისუფალ ვაჭრობის პრინციპისა, ეხლა პარლამენტიდან საგანგებო ზომებს თხოულობს ამერიკელების ტრესტის წინააღმდეგ—უნდა ავუკრძალოთ ტრესტის გემებს ინგლისის ნავთ-სადგურებში შემოსვლაო.

მორგანმა იყიდა აგრეთვე ორ გერმანელ კომპანიის გემებიც. „ყველაფერი ჩემიაო", სთქვა ოქრომ. მაგრამ ერთი რამ არის საფიქრებელი—მორგანისაგან დაწყებული საქმე მეტად სახიფათო სპეკულიაციაა. ამის დასამტკიცებლად ერთი საბუთიც ჰკმარა: მორგანი ათას გირვანქიან აქციაში ათი-ათასს გირვანქას იძლეოდა. შესაძლებელია, რომ მორგანის ტრესტი დაინგრეს ისე, როგორც სხვა ამისთანები დანგრეულა, მით უმეტეს, რომ ინგლისელებს არავინ უშლის მიღებულ ფულებით ახალი გემები აიშენოს და ოკეანეზე მიმოსვლა გამართოს.

ახალი ამბავი

◆ დღეს, 25 აპრილს, დილის 11 საათიდან იწყობა საზოგადო წლიური კრება **ტფილისის სათავად-აზნაურო ბანკის** რწმუნებულთა.

◆ ბათუმიდან გვწერენ: აღდგომა დღეს აქ ჩვეულებრივ **ბურთაობა** იმართება ხოლმე; **დიდძალი** ხალხი—აქაურიც და სოფლებიდან ჩამოსულიც—იღებს მონაწილეობას. წელსაც მრავალი ხალხი მოგროვდა, მაგრამ ბურთის თამაში წელს არ მოხდა.

◆ დღეს, 25 აპრილს, საღამოს 8 საათზედ ქალაქის გამგეობის სადგომში რამდენიმე საქმის განსახილველად სხდომა ექნება ქალაქის **სკოლების გამგე-კომისიას**.

◆ ხვალ, 26 აპრილს, სხდომა ექმნება კავკასიის **სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების საბჭოს** რამდენისამე მიმდინარე საქმეების განსახილველად.

◆ 28 აპრილს დანიშნულია კრება საკრედიტო საზოგადოების **თავმჯდომარის** და სხვა მოხელეთა ამოსარჩევად.

◆ ამ დღეებში კავკასიის სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების საბჭომ შეატყობინა მიწად-მოქმედების დეპარტამენტს, რომ სამეურნეო საზოგადოების ყოფილ ვიცე-პრეზიდენტის **ხატისოვის სახელობაზე სტიპენდიის დასაარსებლად** შეგროვილი 2000 მანეთით ხსენებულმა საბჭომ შეიძინა სახელმწიფო 4⁰/₀-ანი რენტა; ამის სარგებლით საბჭოს გარდაწყვეტილების თანახმად, საბაღოსნო სკოლის ერთ-ერთი შეუძლებელი მოწაფე აღიზრდება.

◆ დღეს ქართულს თეატრში დანიშნულია ქართული წარმოდგენა **ვლ. ალექსი-მესხიშვილის** მონაწილეობით. წარმოდგენილი იქნება შილლერის ტრაგედია „ყაჩაღები", რომელშიაც ფრანც მორის როლს ასე ხელოვნურად ასრულებს ხოლმე ჩვენი ნიჭიერი მსახიობი. წარმოდგენა დაკლებულ ფასებითაა.

◆ 16 აპრილს დანიშნული ქუთ. გუბ. „მეაბრეშუმეთა პირველ ამხანაგობის" წევრთა **კრება არ შესდგა** ცუდის ამინდის გამო. კრება გადაიდვა 5 მაისისათვის.

◆ როგორც უკვე ვაუწყეთ მკითხველთ, ათი დღის წინედ ტფილისის სამოსამართლო პალატამ გაარჩია დავა ბაქოს ნავთის მწარმოებლის **როტშილდისა და ხაზინას შუა**; ხაზინა როტშილდს უჩივოდა ბაქოს გუბერნიაში 14 დესიატინა ნავთიან მიწების მითვისებას. ხაზინამ როტშილდს წინადადება მისცა, ან თითო დესიატინა მიწაზედ 120 ათასი მან. შეეტანა ან სულ თავი დაენებებინა მამულისათვის, რადგანაც იგი ხაზინის საკუთრებას შეადგენსო. როტშილდი ამაზედ არ დასთანხმდა და განაცხადა, რომ მიწა დიდი ხანია მის სარგებლობაშია და მის საკუთრებას შეადგენს. ამ საქმის გამო თავისი განაჩენი სამოსამართლო პალატამ გამოაცხადა 22 აპრილს, რომლითაც აღნიშნული 14 დესიატინა მიწა ხაზინის საკუთრებად იცნო და გარდასწყვიტა ჩამოერთვას იგი როტშილდს. პალატამ აგრეთვე დაადგინა, 225 მან. საქმის საწარმოებელი გარდახდეს როტშილდს და 2120 მან. დაღესტნის ოლქისა და ბაქოს გუბერნიის სახაზინო მიწების მმართველობის სასარგებლოდ.

◆ მერვიდან გამოწერილი 4 ვაგონი **ბამბის თესლი** აგრონომმა ტარატინოვმა უკვე მიიღო ამ დღეებში ამიერ კავკასიის რკინის გზის ევლახისა და ლიაქის სადგურებზე, სადაც მსურველთ შეუძლიანთ ფუთი ბამბის თესლი 75 კაპ. შეიძინონ.

◆ კავკასიის სამთო სამმართველოს უფროსად ნამყოფმა ბ. შოსტაკმა აღძრა შუამდგომლობა მიწად-მოქმედების სამინისტროს წინაშე, ნება მიეცეს იმას ტფილისის, ქუთაისის და განჯის გუბერნიებში გამოიკვლიოს მისგან დანიშნული ის ადგილები, სადაც იმას **ოქროს მადნები** ეგულება. შოსტაკი ითხოვს, რომ ამ ადგილებში სხვას არავის არ მიეცეს გამოკვლევის ნება.

◆ ამ დღეებში ქალაქის თავის მოადგილემ ტფილისის საგუბერნიო სამმართველოსაგან მიიღო დამტკიცებული პროექტი საქალაქო **უძრავ მამულებზე სახელმწიფო გარდასახადის** განაწილებისა. პროექტიდან სჩანს, რომ ქალაქ ტფილისის უძრავი მამულები, რომელთაც შეეწერება სახელმწიფო გარდასახადი, ღირს სულ—68,485,082 მან.; სულ უძრავი მამულია — 10,359, რომელთაგან გარდასახადს გაიღებენ მხოლოდ 8762 მამული, დაფასებულნი სულ 67,521,140 მანეთად. წმინდა შემოსავალი ამ მამულებიდან ყოველ წლობით არის 5,401,692 მან., საშუალოდ თითო მამულზედ ყოველ წლობით მოდის 487 მან.; გარდასახადის ჯამი უდრის 125,538 მან.; კომისიის მიერ გარდაწყვეტილ მამულების ღირებულობის მიხედვით გარდასახადი იქნება 124,239 მან., საშუალო ღირებულობით—135,042 მან. აღნიშნულ ციფრების მიხედვით ტფილისს ამა 1902 წლის სახელმწიფო გარდასახადი შეხვდება სულ 122,814 მან. ანუ საშუალოდ თითოეულ მამულზედ 14 მან.

◆ საგუბერნიო ადმინისტრაციამ დაამტკიცა სახელმწიფო გარდასახადის განაწილება ქალაქების უძრავ მამულებზე. ამ განაწილებით შემდეგი გადახდებათ: ქალაქ გორს —1,500 მამული, ღირებული 1,412,175 მან., შემოსავალი 83,930 მან., გარდასახადი—1.798 მან., თელავს—2065 მამული, ღირებული 1,827,067 მან., შემოსავალი 780,760 მან., გარდასახადი—1,489 მან., სიღნაღს—1,940 მამული, ღირ. 1,158,240 მან., შემოს. 84,447 მან., გარდასახ.—1910 მან., დუშეთს—303 მამული, ღირებ. 329,760 მ., შემოს. 20,000 მ., გარდასახ. 454 მ., ახალციხეს—1746 მამული, ღირ. 2,343,917 მან., შემოს. 100,243 მ.. გარდასახ.—2268 მ., ახალქალაქს—785 მ., ღირ. 989,530 მ., შემოსავ. 98,955 მ., გარდ.—1,413 მ., კოჯორს—103 მამ., ღირ. 737,166 მ., შემოს. 55,287 მ., გარდასახ. —1,462 მ.

◆ 27 აპრილს ქალაქის საბჭოს დარბაზში მოხდება მოქალაქეთა გამგეობის დეპუტატთა კრება, რათა ამოირჩიონ **ობოლთა სასამართლოს წევრები** მოქალაქეთაგან.

◆ ქალაქის თავის მოადგილემ აცნობა გუბერნატორს, რომ ტეხნიკოსთა შემოწმებით ზუბალოვისაგან ნაანდერძევი სახლი **ძალიან ძველია** და იმის გადაკეთება ღარიბთა თავშესაფარად შეუძლებელია. ამის გამო ქალაქის თავის მოადგილე სრულიად უსაფუძვლოდ სთვლის ამ სახლის გადაკეთების ხარჯთ-აღრიცხვის შედგენას.

◆ დესპინე ლევანის ასული ახვლედიანისა მადლობას უცხადებს პატივცემულ პირთ, ვინც კეთილ ინებეს და შესწირეს ლეჩხუმის მაზრაში ს. ნასპერის ეკკლესიის სასარგებლოდ 37 მან. და 10 კ. აღნიშნული ფული (37 მ. და 10 კ.) გარდაეცა ადგილობრივ მღვდელს ანტონ გოლებიანს.

◆ ამ დღეებში ხმოსანმა გ. დ. ყორღანოვმა სთხოვა ქალაქის თავის მოადგილეს, აცნობოს საბჭოს, რომ იგი, სამსახურის საქმეებისაგამო, ტფილისიდან მიემგზავრება და ხმოსნის მოვალეობის აღსრულება აღარ შეუძლია.

◆ გუშინ ქალაქის ლომბარდის სარევიზიოდ შემდგარმა კომისიამ წარუდგინა მოხსენება ქალაქის გამგეობას ლომბარდის 1901 წლის განმავლობაში მოქმედების ანგარიშის რევიზიის შესახებ. მოხსენებაში კომისია სთხოვს გამგეობას—იშუამდგომლოს ქალაქის საბჭოს წინაშე, რომ ლომბარდის წესდება წმინდა მოგების განაწილების შესახებ შეიცვალოს ამრიგად: მთელი წმინდა მოგება დამხმარებელ თანხის ვალისა და ქალაქის გარდასახადის გამოკლებით სრულად ემატებოდეს ძირითად თანხას იმ დრომდე, ვიდრე ეს მოგება არ გადაამეტებს ლომბარდის ყოველ წლიურ სავალდებულო გარდასახადებს.

◆ როგორც გვატყობინებენ, აღდგომა დღეს საჩხერის ნაწილის სოფელ ჭალის მცხოვრებლებს ნიკოლოზ და ვანო აბაშიძეებს ერთმანერთში, სიმთვრალის დროს, ჩხუბი მოსვლიათ. ნიკოლოზს ჩხუბის დროს რამდენსამე ალაგს მძიმედ დაუჭრია ვანო აბაშიძე. აღდგომის დღეებშივე ადგილის გამო წალაპარაკების დროს ჩხუბი მოსვლიათ ჭალისავე მცხოვრებთ სვიმონ და ილიკო აბაშიძეებს, რომელთაგან ამ უკანასკნელს რევოლვერი უსვრია პირველისათვის და დაუჭრია ბარძაყში.

◆ სადგურ აბაშიდან იტყობინებიან, რომ 23 აპრილს 40 ვერსზე საქონლის მატარებმლი № 416 წამოეწია ლიანდაგზე მიმავალს ვიღაც კაცს, რომელსაც ვაგონის თვლებმა ორივე ფეხი მოაწყვიტა და თავი დაუშავა.

◆ სადგურ ნავთლუხიდან იუწყებიან, რომ 22 აპრილს, როდესაც საქონლის მატარებელი № 206 დაიძრა წასასვლელად, ვიღაც უცნობი კაცი თვლებ ქვეშ ჩავარდა, რამაც გასრისა საბრალო.

◆ ტფილისის გუბერნიის სხვა-და-სხვა სოფლებში გასულ მარტში გარდაცვლილა გადამდებ ავადმყოფობით: ყვავილით 3, ქუნთრუშით 6, დიფტერიტით 21, წითელათი 25 და მუცელათი 4.

◆ გასულ მარტის თვის განმავლობაში ტფილისის გუბერნიის საპატიმროების საავადმყოფოებში ყოფილან ავადმყოფნი ტუსაღნი 215 კაცი, 20 ქალი და 13 ყმაწვილი, მათ შორის მორჩენილა 107 კაცი, 12 ქალი და 11 ყმაწვილი. ერთიც გარდაცვლილა.

ქუთაისის ახალი ამბები

∽ ამ სამი-ოთხი წლის წინად ქუთაისში გაჰხსნეს დიდი სამანუფაქტურო ვაჭრობა ორმა ამხანაგმა-სომეხმა. კარგი ვაჭრობა ჰქონდათ და ბლომად ფულსაც შოულობდნენ. აპრილის პირველ რიცხვებში მაღაზიის კარებზედ განცხადება გამოაკრეს ვაჭრებმა: იუწყებოდნენ, ანგარიშის გამო მაღაზია რამდენიმე დღე დაკეტილი იქნებაო. ბოლოს აღმოჩნდა, რომ პატრონებს, რაც საქონელი ჰქონდათ, ჩუმ-ჩუმად სულ გაუზიდნიათ მაღაზიიდან და სადღაც გაუგზავნიათ და კრედიტორებისათვისაც-კი გაკოტრება გამოუცხადებიათ...

∽ ბავშვთა სამზრუნველო საზოგადოებას საბავშვო დღესასწაულები ჰქონდა დანიშნული აქაურს საქალაქო ბაღში ამ თვის 17, 18 და 19 რიცხვებში, მაგრამ, ცუდის ამინდის გამო, დღესასწაულები არ მოხერხდა და სხვა დროისათვის გადაიდო.

საზოგადოდ უნდა აღვნიშნოთ, რომ მეტად ცუდი დღეები დაიჭირა იმერეთში. ჯერ იყო ორი-სამი თვე გვალვები და თან სიცივე: ამ ჟამად გამუდმებული წვიმაა და თან სიცივეები. მუშა ხალხი ძლიერ ჩაფიქრებულია და გულ-ხელ დაკრებილი ცას შეჰყურებს — იმის მოლოდინშია, როდის გამოიდარებს, მუშაობა დაიწყოო.

∽ როგორც სარწმუნო წყაროდან გავიგეთ, ამის წინათ ქუთაისის სააზნაურო სკოლაში სალიტერატურო საღამოზე მომხდარი უსიამოვნების გამოძიება ბ. გუბერნიის მმართველს მიუნდვია ბ. ვიცე-გუბერნატორის კალაჩოვისათვის. სრული იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ ბ. ვიცე-გუბერნატორი გამოიძიებს ამ საქმეს და დაანახვებს ყველას, რომელი მხრიდან იყო უფლების გადამეტება.

∽ საზოგადოებაში ხმა დადის, ვითომც თავად-აზნაურთა ზოგიერთ წარმომადგენელთ 24 აპრილის კრებაზე სურდეთ აღძრან კითხვა 5 აპრილს სააზნაურო სკოლაში მომხდარ ინციდენტის შესახებ.

∽ 22 აპრილისათვის დანიშნული ქუთაისის საბჭოს სხდომა არ შესდგა ხმოსანთა საკმაო რიცხვის დაუსწრებლობისა გამო. სხვათა შორის, ამ სხდომაზედ უნდა განეხილათ ეკლარის საქმის გამოსარკვევად არჩეულის საგანგებო კომისიის მოხსენება, ასე რომ—კიდევ არა და არ ელირსა ამ უბედურ საათზედ აღძრულ კითხვას დასასრული. ყოველ შემთხვევაში, კითხვა პრინციპიალურად გამორკვეულია და ეხლა მისი ადრე თუ გვიან გადაწყვეტა დამოკიდებულია გამგეობაზე, რომელიც, იმედია, დააჩქარებს საქმეს.

∽ ქუთაისის საურთიერთო კრედიტის საზოგადოების კრებამ შემახის მცხოვრებლების სასარგებლოდ გადასდო 300 მანეთი.

∽ 20 აპრილს, ღამის ორ საათზე, თხილისოდენა სეტყვა მოვიდა. სეტყვა ხშირი იყო და დედა-მიწა ერთიანად და სქლად თეთრად მოჰფინა.

როგორც გვითხრეს, ქუთაისის ახლო მდებარე ადგილებშიაცა ყოფილა ასეთივე სეტყვა.

∽ ქუთაურებს იაფად არ დაუჯდათ პასექის დღესასწაულების ჩვეულება. ერთი ოჯახიც არ მოიპოვება აქ, რომ საპასექო ტაბლა არ გამართოს: ბატკანი, გოჭი, ინდოური და სხვა მრავალი აუცილებელ კუთვნილებას შეადგენს საპასექო ტაბლისას. ახლა რა დაუჯდებოდა ყოველ ქუთაურს ამ ტაბლის გამართვა, ადვილად მიხვდებით, თუ შემდეგ ცნობებს თვალს ათხოვებთ: ბატკანი, რომელიც წინათ ექვს შვიდ აბაზად იყიდებოდა, აღდგომის წინა დღეებში სამ-ოთხ მანეთამდე ავიდა. წინად მანეთიანი გოჭი სააღდგომოდ ორ-სამ მანეთად იყიდებოდა. ხომ ძნელად დასაჯერებელია, მაგრამ მსუქანი ინდოური ხუთ-ექვს მანეთად ჰფასობდა, ქათამი—ექვს-შვიდ აბაზად, კვერცხი—ასი სამ მანეთამდე ავიდა.

ქუთაურებს იმის იმედი ჰქონდათ, რომ პარასკევ—შაბათს ვნების კვირაში ქალაქს სოფლებიდან მოაწვებოდა ხორაგეულობა და იაფობაც ჩამოვარდებოდა, მაგრამ იმედი გაუცრუვდათ. პარასკევ დილიდან საშინელი წვიმა დაუშვა, ზედ ცივი ქარიც მოჰყვა: გზები მეტად გაფუჭდა და სოფლელი იმდენი ვერ ჩამოვიდა ქალაქში, რამდენის იმედიც ჰქონდათ. ხორაგეულობამ უფრო იმატა ფასები, ვიდრე წინა-დღეებში იყო.

ასე, ამ გვარად, ქუთაურებს მეტად ძვირად დაუჯდათ ტაბლის გამართვა; განსაკუთრებით საგრძნობელი დარჩა ხელ-მოკლე და შეუძლო ოჯახებისათვის.

ტაბლა რომ არ გააწყოს ქუთათურმა — ეს ყოვლად შეუძლებელია იმისათვის: თავს დაიგირავებს და ამას არ იქს. მერე ყველა ეს იმისათვის, რომ გაჟღენთილ-გალექებულ მომსვლელს „დაუხვდეს" და... იმასთან ერთად თვითონაც გამოიჟღენთ-გამოლექდეს...

წლევანდელმა სიძვირემ ბევრი საგონებელში ჩააგდო და ხშირად ისმოდა ძველი ჩვეულების მოსპობის სურვილი. ზოგმა ამათგანმა ასეთი აზრიც გამოსთქვეს: წერილობითი პირობა დავდვათ, მოვსპოთ ტაბლის გამართვა და, ვინც ამ დადგენილებას უღალატებს, დავაჯარიმოთ რომელისამე საქველ-მოქმედო საქმის სასარგებლოდ.

ესეც ერთი წყარო იქნება საზოგადო სასარგებლო საქმისათვის წვლილის გამოსაღებად...

ქუთაისის საურთიერთო კრედიტის საზოგადოების წლიური კრება

კრება გაიხსნა საღამოს რვა საათზე. თავმჯდომარედ ერთხმად აირჩიეს ქუთაისის ქალაქის თავი დავით ლორთქიფანიძე. კრებამ განიხილა შემდეგი საქმეები:

კრებამ მოისმინა წარსული წლის ბანკის მოქმედების ანგარიში („ცნობის ფურცელში“ დაბეჭდილი იყო) და ერთ-ხმად დაამტკიცა იგი. მმართველობის დირექტორმა თ. კ. ბ. ლორთქიფანიძემ კრებას მოახსენა, რომ ბანკში დაბალ მოხელეებს წესისამებრ ყოველ წლობით ვაძლევთ თითო თვის ჯამაგირ ჯილდოდაო და ისევე უნდა მივცეთ წელსაცაო.

კრებამ დაადგინა მიეცეს ბანკში მოსამსახურე მდაბალ მოხელეებს თითო თვის ჯამაგირი ჯილდოთ.

ო. სვანიძე ეკითხება თავმჯდომარეს, რა მდგომარეობაშია წარსული წლის კრების დადგენილება, რომლის ძალით ბანკის მმართველობას უნდა შეედგინა წეს-რიგი ბანკში მოხელეთა ჯამაგირების მომატებისა და აგრეთვე პენსიის დანიშნვისაო.

ექიმმა ჰიჰინაძემ ვრცელი სიტყვა წარმოსთქვა და განმარტა უნუგეშო მდგომარეობა იმ ოჯახისა, რომელიც ბანკის მოხელის სიკვდილის შემდეგ რჩებაო და საზოგადო კრება ბანკის წევრთა მოვალეა იზრუნოს საპენსიო კასსის პროექტის შემუშავებასა და თვით კასის დაარსებაზეო. საპენსიო თანხის შესადგენათ ექ. ჰიჰინაძემ ურჩია გადაიდოს რამდენიმე პროცენტი ბანკის მოგებიდან და გამოერიცხოთ ⁰/₀⁰/₀ მოხელეებს ჯამაგირებიდან და იმ ჯილდოდან, რომლებიც მოხელეებს ყოველ წლობით ეძლევათო. ამ წესს ადგია კიევის საურთიერთო საკრედიტო ბანკიცაო.

მმართველობის თავმჯდომარემ ო. სვანიძის საკითხზე უპასუხა, რომ ჯერ-ჯერობით საბჭოს არაფერი გაუკეთებია ამის შესახებაო.

ექიმი ჰიჰინაძის წინადადება კრებამ მიიღო და ბანკის მმართველობას დაავალა ამის შესახებ მომავალ მორიგ კრებას მოხსენება წარმოუდგინოს.

1902 წლის ხარჯთ-აღრიცხვა, რომელიც წარსულის წლისას ორი-სამიოდ ათასის მანეთით აღემატება—კრებამ დაამტკიცა. შემდეგ კრება შეუდგა წესდების ძალით ორის დეპუტატისა, გამგეობის დირექტორისა და სარევიზიო კომისიის წევრებისა და მათის კანდიდატების არჩევას. ამათი სია გუშინ გვქონდა მოყვანილი ქუთაისის ამბებში.

ტფილისელი მოსწავლენი კიევში

22 აპრილს დაბრუნდნენ ტფილისის რეალურ და პირველ, მეორე და მესამე გიმნაზიისა და სამასწავლებლო ინსტიტუტის მოსწავლენი, რომელნიც თავიანთ მასწავლებელთა ხელმძღვანელობით წასულნი იყვნენ კიევს იქაურ ღირს-შესანიშნავ ადგილთა დასათვალიერებლად.

კიევში თურმე დიდის პატივისცემით მიიღეს ექსკურსანტები, რომელნიც ვნების კვირის დიდ ხუთშაბათს მივიდნენ იქ. კიევის პირველ გიმნაზიის დირექტორმა დაუთმო გიმნაზიის შენობაში 60 კაცის ბინა ყოველის მოწყობილებით: საწოლ-კრაოტებით, ლოგინებით, მოსამსახურითა და სამზარეულოთი.

წითელ-პარასკევს, დილა ადრიან ექსკურსანტები გაემგზავრნენ კიევო-პეჩორის ლავრის დასათვალიერებლად და თითქმის მთელი დღე მოუნდნენ ამის დათვალიერებას. მთელის ხუთის დღის განმავლობაში მოსწავლენი თავიანთ მასწავლებლების თანდასწრებით გულ-და-გულ ათვალიერებდნენ ყველა ღირს-შესანიშნავ ადგილებს.

რეალურ სასწავლებლის მოწაფეთ თვით აღდგომა ღამეს მიიღეს წმიდა საიდუმლო. ყველა მოწაფე ექსკურსანტები და მათი მასწავლებლები აღდგომას პირველ გიმნაზიის დირექტორმა მიიპატიჟა თავისს სახლში, სადაც სტუმრებისათვის გაშლილი იყო ბრწყინვალე სუფრა. აქ გაიხსნიდეს ყველამ ერთად და ბევრის საგულისხმო სიტყვებით მოიხსენიეს სტუმარ-მასპინძელთ ერთმანეთი.

დიდი ყურადღება და პატივი მიაპყრეს თურმე ექსკურსანტებს უნივერსიტეტისა, პოლიტეხნიკუმისა და სასულიერო აკადემიის პროფესორებმა: დაწვრილებით გააცნეს სტუმრებს სამოსწავლო მუზეუმები და სამეცნიერო კაბინეტები.

პირველ გიმნაზიის დირექტორმა გაჰმართა იმათ პატივსაცემლად თავის ქვემდებარე გიმნაზიის მოწაფეთა კონცერტი, რითაც დიდათ ისიამოვნეს ექსკურსანტებმა. ამასთანავე მოსწავლეებს დაურიგა კამფეტები და სხვა ტკბილეულობა, ხოლო იმათ ხელმძღვანელთ,—მასწავლებლებს—სათითაოდ მიართვა თავისი თხზულებანი. იქაურ გიმნაზიის ისტორიის მასწავლებელმა ლატოშინსკიმ ყველას დაურიგა თავისი ისტორიული თხზულებანი.

გიმნაზიის მღვდელმა მშვენიერის სიტყვით მიჰმართა ექსკურსანტებს, უსურვა ყოველი კეთილი და გზა დაულოცა.

საერთოდ უნდა აღვნიშნოთ, რომ ჩვენი ექსკურსანტები დიდათ კმაყოფილნი არიან ამ მოგზაურობითა და მართლაც სასიამოვნოა, რომ ასე ჩინებულად ჩაიარა ამ ექსკურსიამ და სიამოვნებასთან და გონების მხრივ სარგებლობასთან ერთად მშვიდობით იმგზავრეს.

მეტად კარგი იქნება სხვა ჩვენი სასწავლებლებიც მიბაძავდნენ ამ სასარგებლო მაგალითს და წესად შემოიღებდნენ ყოველ წლიურ ექსკურსიას. რამდენად სასარგებლოა ეს, ამაზე ლაპარაკიც მეტად მიგვაჩნია, რადგან, ვგონებთ, ყველამ იცის და მით უმეტეს სასწავლებელთა მთავრობამ...

კ—ა

დაბა-სოფლები

სოფ. იყალთო (თელავის მაზრა): სიამოვნებით აღვნიშნეთ ამას წინად გაზეთის ფურცლებზე ის გარემოება, რომ ზემო მხრის ზოგიერთ სოფლებმა მოინდომეს სასოფლო ქსენონის დაარსება სოფ. იყალთოში, რომლის ნებართვა უკვე მოუვიდათ. ჩვენ გვეგონა, რომ სულ მოკლე ხანში განახორციელებდნენ ორი წლის წინად გამოთქმულ სურვილს; მაგრამ, საუბედუროდ, ნება-რთვა ქსენონის დაარსებაზე ყველას მეცხოვა და გაუკვირდათ თვით იმათაც, ვინც პირველში დიდის ამბითა და რახით ხელი მოაწერეს განაჩენს. ეხლა გამოვიდნენ და შეადგინეს ახალი განაჩენი, რომლითაც ითხოვენ წინანდელის განაჩენის გაუქმებას და მეტ ხარჯიდან განთავისუფლებას. ქსენონის დაარსებაზე უარის თქმა ყველამ (14 სოფელმა) იმაზე დაამყარეს, რომ პირველში ჩვენ 60—80 კაპ. გადასახადზე დავთანხმდით და ეხლა კი 2 მანეთზე მეტი გვხდება.

მესამე ილორის საზოგადოება (სენაკის მაზრა): მეოთხე წელიწადია აგერ, რაც განზრახულია—„მესამე ილორის საზოგადოება“, რომელიც შესდგება საჭილაოს, სანავარდოს, ნაჩხოტოურის და ნაფადოურის სოფლებისაგან, ჩამოაშორონ სენაკის მაზრას და ქუთაისის მაზრას მიაწერონ. ადგილობრივი მცხოვრებლები სიხარულით ვეგებებოდით ჩვენთვის ამ კეთილ საქმის სისრულეში მოყვანას, მაგრამ არ იქნა და არ ასრულდა.

ამის გამო ზემოხსენებულ სოფლების მცხოვრებნი გაჭირვებულს გარემოებაში იმყოფებიან მაზრის ქალაქების სიშორისა გამო.

მეტად სასურველია, ჩვენის სოფლების ასეთ უხერხულ მდგომარეობაში ყოფნას ყურადღება ექმნეს მიქცეული. ძალიან ადვილი საქმეა ამ დაბრკოლების თავიდან აცილება, მით უმეტეს, რომ ამ საქმისათვის საჭირო არ არის არავითარი ხარჯი, საჭიროა მხოლოდ თხოვნით მივმართოთ მთავრობას, და ეს უკანასკნელიც მოისურვებს ამ გვარი საქმის შესრულებას, რადგან ამით ადმინისტრატიულ ინტერესებს არავითარი დაბრკოლება არ მოუვა, სოფლის მცხოვრებლებს-კი დიდი შეღავათი მიეცემა.

სოფელ საჭილაოდან რკინის გზის სადგურ სამტრედიამდე გზატკეცილის შეკეთებას შეუდგნენ. ეს ერთი კვირა იქნება გაცხარებული მუშაობა არის; როგორც ეტყობა, განუზრახავთ საფუძვლიანად შეაკეთონ ერთხელ და სამუდამოდ.

ს. სუფსა: 22 აპრილს, ღამით, ვიღაც ბოროტ-გამზრახველმა გაძარცვა ღვთის-მშობლის აქაური ეკკლესია და გაიტანა ფული, სანთლები და აგრეთვე ოქროსა და ვერცხლის ნივთები, რაც-კი რამ მოიპოვებოდა, დაახლოვებით ორასი მანეთის ღირებულობისა. ეჭვი ჯერ-ჯერობით არავისზედ არ არის; ადგილობრივი ბოქაული ბაშმაკინი გამოძიებას შეუდგა.

ბიბლიოგრაფია

მოთხრობა არ ბავშვებთათვის. ისტორია ბავშვის სულის მდგომარეობისა. თარგმნილი და გამოცემული ნატალია რ. გიგაურის მიერ. ქუთაისი. 1901 წ., 227 გვერდი.

ეს მოთხრობა გადმოღებულია ინგლისური მწერლის თხზულებიდან, ავტორი მისი მარიამ კორრელია. ინგლისურად ამ წიგნს ჰქვიან „The mighty Atom“ და წინასიტყვაობას მიუძღვის შემდეგი წარწერა: „იმ პროგრესისტებს, ვინც თავისის სწავლა-მოძღვრებით და თვისის მაგალითით ხელს უმართვენ არა სვინიდისიერ საქმეს ყმაწვილთა სარწმუნოების გარეშე აღზრდისას“. აქ მოთხრობილია სულის კვეთება ბავშვისა, სახელად ლიონელისა, რომელსაც მასწავლებლები აგონებენ, რომ ყოველიფერი წარმოსდგა უსულო და უაზრო ატომიდან. თვით ბავშვის აგებულება ისეა მოწყობილი, რომ მას ღვთაებრივი ძალა მსოფლიოს შექმნაში უფრო სასურველად და გასაგებად მიაჩნია. მისი ნორჩი ტვინი ვერ ითვისებს განყენებულს წარმოდგენას ქვეყნიერების წარმოშობაზედ უსიყვარულოდ და უაზროდ. იგი უახლოვდება პატარა ღარიბი კაცის ქალს ჟესმინას, რომელსაც უყვარს ღმერთი, დედის სიკვდილი მიაჩნია მისი სულის გადასახლებად უფალთან, სწამს უმანკო არსებანი—ანგელოზნი, დადის ეკკლესიაში და ლიონელსაც უხსნის სურათებს სამღვთო ისტორიიდან. მამა და მასწავლებელი პროფესორი სასტიკი ხასიათისანი არიან, არ ესმით ბავშვის მდგომარეობა და აშორებენ ბუნების სიმშვენიერეს, რომელიც მას გატაცებით უყვარს. დედა მისი, ქმრისაგან შეწუხებული, მისდევს სხვა კაცს და ეს ერთად-ერთი არსება, რომლისაკენაც მისი გრძნობიერი გული მიილტვოდა, განშორდა მას. ბავშვის ნერვები დედის მოშორებას ვერ აიტანს და გახდება სასიკვდილოდ ავად. ლიონელიც და ჟასმინაც უფალს აბარებენ სულს და ეს საერთო მწუხარება აახლოვებს კვეთებით დიდს მებატონეს და ღარიბს მსოფლიონს. აი მოკლედ შინაარსი ამ საუცხოვო წიგნისა; იგი ნათარგმნია კარგის ენით, თუმცა ალაგ-ალაგ ეტყობა შეუმუშავებლობა: მაგალითად, გაილაპარაკა—ნაცვლად ჩაილაპარაკა; „ცაზე მზე აბრწყინვებს“, ოქსპორდი ნაცვლად ოქსფორდისა. სასურველია, რომ ამ წიგნს ჩვენმა საზოგადოებამ ყურადღება მიაქციოს. აღმზრდელთათვის იგი სასარგებლო სახელმძღვანელოა. სამწუხაროა, რომ ჩვენს მწერლობაში აქამდის ვერ დამყარდა ისეთი განყოფილება, რომელმაც თავს იდვას ახალი წიგნების გარჩევა და საზოგადოების წინაშე მათ შესახებ ანგარიშის წარდგენა. ხშირად მთარგმნელს და თვით ორგინალური თხზულების დამწერს სასოება ეკარგება, როდესაც ხედავს, რომ მისი შრომა ფუჭად მიდის და სრულიად უცნობი რჩება მკითხველთათვის. ვისურვებთ, რომ ამ გულგრილობას ბოლო მოეღოს და ღირსეულად იქმნენ შემჩნეულნი ჩვენი მწერლობის ასპარეზზედ მოღვაწენი.

ა. ხახანაშვილი

უცხოეთის წვრილი ამბები

არტისტის მოსწრებულობა. ამას წინად გამოჩენილი იტალიელი არტისტი—ბარიტონი ბატისტინი, რომელსაც ბარიტონების მეფეს ეძახიან, თამაშობდა ოპერაში „მარია დე როგან“.

ოპერა მშვენივრად მიდის, თეატრი ხალხით გაჭედილია. ბატისტინი მღერის, როგორც ბატისტინი, თამაშობს უფრო უკეთესად... საზოგადოება აღტაცებაშია... მოახლოვდა შესანიშნავი ადგილი ოპერისა... ბარიტონების მეფე ქარიშხალივით დაეძგერება პრიმადონას, შეუბრალებელი ზღვის ტალღასავით მოიტაცებს იმას, როგორც ნაფოტს, და ძირს დასცემს...

თეატრი უცბად გაყუჩდება! მოისმის ლაწა-ლუწი. პირველ წყებებში მჯდომარე ქალებს ცხადად ესმისთ, რაც მოხდა... პრიმადონას ტანთსაცმელს რაღაც დაემართა... დაიწყდა ღილები, დუგმები, ზორტები... ქვემო ტანი და იუბკა მოშორდა ზემო ტანს, კორსაჟს...

ბარიტონთა მეფე არ დაიბნა... იმან უცბად ისეთი ნოტი ასწია, რომ კრიჭა შეუკრა თავდაუჭერელ მოხარხარეთ. არც პრიმადონა დაიფანტა... ცხადად იგრძნო, რომ, თუ ოდნავ შეინძრა და ფეხზე წამოდგომა დაპირა, ჩამოვარდება... ფარდა, და ამიტომ ზურგზე მწოლარემ გაატარა მთელი მოქმედება.

შემდეგ როდესაც საზოგადოებამ აღტაცებით გამოიწვია არტისტი ქალი, ის მოღიმარი გამოვიდა და ცალი ხელით ეჭირა კეკლუცად ის უბადრუკი იუბკა, რომელიც საჩქაროდ ქინძისთავებით ჰქონდა მიმაგრებული.

**

რომის პაპი და სამხრეთ-აფრიკის ომი. ისე არაფერი არ აწუხებს და არა სწყინს ღრმად მოხუცებულს რომის პაპს, ლეონ მეცამეტეს, როგორც სამხრეთ-აფრიკაში უსამართლოდ სისხლის ღვრა. ამ დღეებში პაპმა მიიღო თავის სასახლეში კანადის უმთავრესი წარმომადგენელი ბ. რუტიერი, თავის სახლობით. როდესაც პაპამ შეიტყო, რომ რუტიერის უფროსი ქალი შარშან დაქვრივებულა და იმისი ქმარი სამხრეთ-აფრიკის ერთ-ერთ ომში მოუკლავთ, გულში მიიხუტა საბრალო ქვრივის თავი და თვალცრემლიანმა ნაღვლიანად წამოიძახა: „ეს ომი—ჩემი უკანასკნელი უდიდესი მწუხარებაა“.

**

შესანიშნავი სიზმარი. ამ დღეებში ინგლისში ასამართლებდნენ ვინმე ჯემს გილს, რომელსაც თავისი ბიძის რიჩარდის მოკვლა ბრალდებოდა, რომ მემკვიდრეობა დარჩენოდა. უმთავრესს ბრალმდებლად აღმოჩნდა ვინმე არტურ ჰამილტონი, მოკლულის რიჩარდ გილის მეგობარი, რომელსაც სიზმარში ენახა, როდესაც ის ნიცაში იყო, მთელი ის ამბავი, როგორც მოკლეს იმისი მეგობარი. ჰამილტონი ინგლისში მოვიდა და აქ შეიტყო თავისი მეგობრის სიკვდილი. ის მაშინათვე წავიდა სასამართლოს გამომძიებელთან და თავის სიზმარი უამბო, ამასთან ყველაფერი ისე დაწვრილებით აღწერა ამ ბოროტმოქმედებაში, რომ, როდესაც ჯემს გილლი დაიბარეს ჩვენების ჩამოსართმევად და დაწვრილებით უამბეს მკვლელობის ამბავი, ის ხახა-მშრალი დარჩა და მკვლელობის ჩადენაში გამოტყდა.

**

მღვდლები თეატრში. რომიდან აუწყებენ „რაპპელს“, რომ რომის სასულიერო წოდებას ამ უკანასკნელ კვირებში ძალიან თავი გამოუდვია და გადაწყვეტით ითხოვს, მღვდლებს თეატრში სიარულის ნება დაერთოსო.

ამ გვარი მოთხოვნის მიზეზი შემდეგი გარემოებაა: აბბატმა პეროზიმ დრამა დასწერა, რომელსაც ამ დღეებში წარმოადგენენ კონსტანცის თეატრში. ავტორი პირველ წარმოდგენას დაესწრება. ამის გამო სასულიერო უწყების წარმომადგენელნი განაცხადებენ, რომ ის, რის ნებაც აბბატ პეროზის ეძლევა, არც იმათთვის უნდა იყოს აღკრძალული. ეხლა სასულიერო წოდებას აზრად აქვს, ამ კითხვის გამოსარკვევად უწმინდესს ტახტს მიმართოს.

სასამართლო

(კაცის მოკვლა და დაჭრა)

24 აპრილს ტფ. ოლქის სასამართლოში განიხილა საქმე ტფ. მაზრის სოფელ იფნარის მცხოვრების ნიკ. მაყიშვილისა, რომელსაც ბრალდებოდა პავლე მაყიშვილის მოკვლა და მისი ძმის—დიმიტრი მაყიშვილის—მძიმედ დაჭრა. ეს ამბავი ასე ყოფილა: წარსულ წელს აღნიშნულ სოფლის ერთს დუქანში ღვინო დაულევიათ ხსენებულ მაყიშვილებს და მათთან ერთად ბარსო ბეროშვილს და სხვათ. როცა დუქნიდან გამოსულან, რაღაც მიზეზისა გამო ბეროშვილსა და ბრალდებულ ნიკ. მაყიშვილს ერთმანეთი გაულანძღავთ. ცოტა მანძილი რომ გაუვლიათ, ნიკ. მაყიშვილი მსწრაფლ მობრუნებულა და გამწარებული გაქანებულა ბარსო ბეროშვილსაკენ. გზაში მას შეხვედრია დიმიტრი მაყიშვილი და უთქვამს—დაანებე ბეროშვილს თავიო. ნიკოლოზს გული მოსვლია და უკრავს დიმიტრისთვის გვერდში ხანჯალი; შემდეგ ისევ ბეროშვილს გამოკიდებია; ამ დროს გზაში გადაღობებია პავლე მაყიშვილი, რომელიც აგრეთვე შეხვეწნია, თავი დაანებე ბეროშვილსაო. ნიკოლოზ მაყიშვილი ამაზედაც გამწარებულა, უძვრია ხანჯალი, ჩაუკრავს მუცელში პავლესათვის და იქვე მოუკლავს. ნიკოლოზ მაყიშვილი ბეროშვილს ვეღარ დასწევია და მისი მოკვლის განზრახვა სისრულეში ვერ მოუყვანია.

სასამართლოში ბრალდებულმა თავი დამნაშავედ არ აღიარა და განაცხადა, რომ მას თავს დაესხნენ რამდენიმე კაცი შეურაცხების მისაყენებლად; თავის დასაცველად იარაღი იხმარა და არეულობის დროს დასჭრა აღნიშნულნი პირნი. მათი მოკვლის განძრახვა-კი არა ჰქონია. მოწმეებმა საქმის ზემოდ მოყვანილი გარემოება შეამოწმეს.

ერთის საათის შემდეგ სასამართლომ გამოაცხადა განაჩენი, რომლითაც დამნაშავედ იქმნა ცნობილი ნიკოლოზ მაყიშვილი და მიესაჯა უფლებათა ჩამორთმევა და პატიმართა-გამასწორებელ რაზმში სამის წლის ვადით გაგზავნა.

დეპეშა

(„რუსეთის დეპეშთა სააგენტოსაგან“)

23 აპრილი

პეტერბურგი. 23 აპრილს, ხელმწიფე დედოფლის ალექსანდრა თეოდორეს ასულის სახელ-წოდების დღეს, ყველა ეკკლესიებში გადაიხადეს სამადლობელი პარაკლისი; განსაკუთრებულად სადღესასწაულო ღვთის მსახურება გარდაიხადეს ისაკის საკრებულო ტაძარში. ქალაქი დღე ბაირაღებით იყო შემკული, ღამით გაჩირაღდნებული.

ლომჟა. გუშინ მოვიდა სამხედრო მინისტრი.

ვარშავა. „ზემლედელეცის და სკოტოვოდის“ რედაქციამ იკისრა დააარსოს, მიწად-მოქმედთა საზოგადოების დახმარებით, სააქციონერო საზოგადოება ხუთასი ათასი მან. თანხით, რომ აშენდეს სამიწად-მოქმედო მაშინების და იარაღის ფაბრიკა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბაქო. შაჰმა ლენქორანში გაიარა; იქიდან ბაქოში მიდის.

რეველი. ნავთსადგურის ამოსაღრმავებლად ვინდავადან მიწის ამოსაღები მანქანები ჩამოიტანეს.

ასხაბადი. მოვიდა თურქისტანის ეპისკოპოსი არკადი.

კამიშლოვი. სიცივეების გამო ანეულმა დაიგვიანა, ზამთრის პირში დათესილი კარგია.

კრონშტადტი. „ერმაკი“ გუშინ რეველში წავიდა. როხლანდიდან დეპეშით იუწყებიან, რომ რუსეთის გემი „დიანა“ მოსჩანს.

კელცი. განზახვა აქვთ ახალი შენობა ააგონ საქალებო გიმნაზიისათვის. ქალაქი უფასოდ უთმობს ალაგს.

მინსკი. საშინელმა ცეცხლმა 19 აპრილს გაანადგურა ბობრუისკში მთელი სავაჭრო-სამრეწველო ნაწილი; დაახლოვებით გადაიწვა 9,702 საცხოვრებელი შენობა, ბაზრის 650 დუქანი და პოლიციის შენობები. მინსკის ვიცე-გუბერნატორის ველიამინოვის თაოსნობით კომიტეტი შესდგა, რომ დახმარება აღმოუჩინონ გადამწვართ.

მინსკში ხის დარგვის დღესასწაული იქნება.

პარიზი. ხელმწიფე დედოფლის სახელწოდების დღის გამო საელჩოს ეკკლესიაში გადაიხადეს სადღესასწაულო ღვთის მსახურება. დაესწრნენ ელჩი თავადი ურუსოვი საელჩოს ყველა წევრებით. თავად ურუსოვს მიულოცეს დღესასწაული სერბიის და ბოლგარიის წარმომადგენლებმა.

კილი. რუსეთის გემი „ედინბურგი“ კრონშტადტში წავიდა.

სოფია. საერო კრების სესიის გახსნის დროს სეფე სიტყვაში მოხსენებულია, რომ მთავრობა ზრუნავს გააძლიეროს რუსეთთან მეგობრული დამოკიდებულება და აგრეთვე სხვა მეზობელ სახელმწიფოებთანაც.

სასახლე ლოო. დედოფალი გვარიანად არის.

პეკინი. იმპერატორის ბრძანებაში გამოცხადებულია სინანული მისიონერების დახოცვის გამო და ნაბძანებია საზღაური მისცენ, ხოლო დამნაშავენი დასაჯონ.

პარიზი. როგორც იტყობინებიან, ბრისსონი მარსელში გამოვა კანდიდატად.

პეტერბურგი. დედოფლის ალექსანდრა თეოდორეს ასულის სახელწოდების დღეს დილის თერთმეტ საათზე ცარსკოსელსკი დიდის სასახლის ეკკლესიაში წირვა იყო, რომელსაც დაესწრნენ ხელმწიფე-იმპერატორი, ხელმწიფე-დედოფლები მარიამ თეოდორეს ასული და ალექსანდრა თეოდორეს ასული შვილებით, ხელმწიფე მემკვიდრე და დიდნი მთავარნი და მთავრინანი. დილით გერმანელ მომღერალთა საზოგადოებამ „ლიდერ ტაფელ“ შეასრულა სერენადა.

სრულიად რუსეთის საოჯახო-სამრეწველო გამოფენაზე საპატიო დიპლომები მიუსაჯეს საგუბერნიო ერობებს მოსკოვისას, პერმისას, ნიჟეგოროდისას და ვიატკისას, ფინლიანდიის დიდს სამთავროს, მოსკოვის საქალაქო სამმართველოს, ბუხარის ემირს, ა. ნ. ნარიშკინისას, მ. ფ. იაკუნჩიკოვისას და ა. ა. ბოლოლეპოვს, 28 ოქროს მედალი; ვერცხლის მედლები: დიდი—161, პატარა 350, ბრინჯაოსი 800 და ქების ფურცელი—900.

24 აპრილი

ლონდონი. ჩემბერლენი იუწყება, რომ მმართველობამ მოიწონა წინადადება შესახებ ნატალისა და ტრანსვაალის ნაწილის შეერთებისა; ამ ადგილს უჭირავს 7,000 ოთხკუთხი მილი და სცხოვრობს 8,000 ჰოლანდიელი.

კონსტანტინეპოლი. მინისტრთა საბჭომ მოიწონა რუსიის წინადადება შესახებ სახელმწიფო ვალის შეერთებისა.

ვაშინგტონი. დღეს გარდაიცვალა ადმირალი სამსონი.

ლონდონი. კიტჩინერი იტყობინება უკანასკნელ კვირაში მომხდარ წვრილ ბრძოლის შესახებ. ცოტათი შესამჩნევი ბრძოლა ჰქონიათ 27/28 აპრილს სტვიუხოპთან. ბურები მტკიცედ იცავდნენ სიმაგრეებს, მაგრამ ინგლისელებმა აიღეს. ინგლისელებს მოუკლეს ექვსი და დაუჭრეს 8. ბურებს ბევრი დააკლდათ.

ბაქო. შაჰი ლენქორანიდამ გეოქთეფეში წავიდა და მივიდა საღამოს შვიდ საათზე.

სედლეცი. იმპერატორი ვილჰელმის გამოგზავნილმა დეპუტაციამ გარდასცა ნარვის დრაგუნთა პოლკს უავგუსტოესის შეფის სურათი და საღამოზედვე წავიდნენ ვარშავაში.

პეტერბურგი. დედოფალის ალექსანდრა თეოდორეს ასულის სახელწოდების დღეს პარაკლისი გადაუხდიათ მოსკოვში, ჩერნიგოვში, მინსკში, რიაზანში, კოვნოში, ლოდზში, პეტროზავოდსკში, ხარკოვში, ვილნაში, როსტოვ-დონზე, ნახიჩევანში, კურგანაში კურსკში და პლოცკში. პანაშვიდი ჟუკოვსკის სულის მოსახსენებლად გადაუხდიათ ბევრ ქალაქებში.

როსტოვი-დონზე. პროფესორი ქარინცევი აპირებს ზაფხულში გამოიკვლიოს აზოვის ზღვა ღრმა არხის გასაყვანად როსტოვამდე. ქალაქი ფულს სესხულობს საქალაქო საყასბოს ასაგებად. დონი ადიდდა ძლიერ.

ამსტერდამი. ის ხმა, ვითომ დედოფალს ოპერაცია გაუკეთეს, ტყუილია.

სასახლე ლოო. დედოფლის ავადმყოფობის შესახებ გამოცემულ ბიულეტენში არის: „ტემპერატურა ნორმალურია. სხვაფრივ ისეთი შესამჩნევი არა სჩანს-რა.“

გამომც. და დრ. რედაქტორი **ალ. ჯაბადარი.**

გამოსადეგი ცნობანი

პეტერბურგის ბირჟა 22 აპრილს

ვექსილის კურსი 3 თვით:

ლონდონზე 10 გირვ. სტ.—ში	94,15	
ბერლინზე 100 მარკაში	—	
პარიზზე 100 ფრანკში	—	
ლონდონზე ჩეკები	94,85	
ბერლინზე „	46,30	
პარიზზე „	37,65	
ბირჟის დისკონტი	4½—6½%	
4% სახელმწიფო რენტა	96¾	გაყიდ.
4%-ანი სახელმწ. სესხი 1902 წ.	99	მყიდვ.
4½% შინაგანი სესხი 1893 წ.	—	
4% გირავნ. ფურც. სახელ. საადგ.-მამ. ბანკისა.	—	
5% 1-ლ შინაგან სესხის მომგებ. ბილ. 1864 წ.	472½	გაყიდ
5% მეორე შინაგ. სესხის მომგებ. ბილ. 1866 წ.	361	„
5% გირავნ. მომგ. ფურც. სახელმ. საადგ.-მამ. ბანკისა	304	„
5% ობლიგაციები ტფილ. საკრედიტო საზოგ.	89	„
4½% ობლიგაც. იმავე საზოგადოებისა	—	
ტფილ. საადგილ-მამ. ბანკის 5% გირავნ. ფურც.	90¼	„
4½% გირავნობის ფურც. ამავე ბანკისა	—	
ქუთაისის საადგილ-მამ. ბანკის 6% გირ. ფურც.	—	
5% გირავნ. ფურც. იმავე ბანკისა.	—	
ა. ი. მანთაშევისა და ამხ. აქცია.	190	„

მიმოსვლა რკინის გზის მატარებლებისა

(ფრჩხილებს გარედ ნაჩვენებია ტფილისის საათი, ფრჩხილებში კი—პეტერბურგის)

ა) ტფილისიდან მიდის:

ბათუმს—1) № 1 სწრაფი - დილის 6 ს. და 45 წ. (7 ს. 43 წ.); 2) № 3 საფოსტო—ნაშუადღევის 5 ს. 9 წ. (6 ს. 7 წ.); 3) № 5 სამგზავრო—დილის 8 ს. 29 წ. (9 ს. 27 წ.).

ბაქოს—1) № 2 სწრაფი (მხოლოდ ჰარასკევობით)—დილის 10 ს. 51 წ. (11 ს. 49 წ.); 2) № 4 საფოსტო—დილის 12 ს. 36 წ. (1 ს. 34 წ.); 3) № 6 სამგზავრო—საღამოს 7 ს. 24 წ. (8 ს. 22 წ.).

ბორჯომს—№ 7—დღის 1 ს. 30 წ. (2 ს. 28 წ.).

ყარსს—№ 74/75 საღამ. 8 ს. 30 წ. (9 ს. 28 წ.).

ტფილისში მოდის:

ბათუმიდან—1) № 2 სწრაფი—დილის 9 ს. 4 წ. (10 ს. 2 წ.); 2) № 4 საფოსტო—დილის 11 ს. 34 წ. (12 ს. 32 წ.); 3) № 6 სამგზავრო—საღ. 6 ს. 39 წ. (7 ს. 37 წ.).

ბაქოდან—№ 1 სწრაფი (შაბათობით)—დღის 2 ს. 45 წ. (3 ს. 43 წ.); № 3 საფოსტო—დღის 3 ს. 56 წ. (4 ს. 54 წ.); № 5 სამგზავრო—დილის 7 ს. 39 წ. (8 ს. 37 წ.)

ბორჯომიდან—№ 8—საღ. 5 ს. 59 წ. (6 ს. 57 წ.).

ყარსიდან—№ 76/77 დილის 6 ს. 20 წ. 7 ს. 18 წ.).

ბ) ბათუმიდან გამოდის:

ტფილისისაკენ—1) № 2 სწრაფი—ღამის 10 ს. 10 წ. (11 ს. 8 წ.); 2) № 4 საფოსტო—საღამ. 11 ს. 5 წ. (12 ს. 3 წ.); № 6 სამგზავრო—დილის 7 ს. 5 წ. (8 ს. 3 წ.).

გ) ქუთაისიდან გამოდის:

ტფილისისაკენ—1) ღამის 12 ს. 30 წ. (1 ს. 28 წ.); 2) ღამის 2 ს. 50 წ. (3 ს 48 წ.).

ბათუმისაკენ—1) დღის 12 ს. 55 წ. (1 ს. 53 წ.) 2) ღამის 12 ს. 30 წ. (1 ს. 28 წ). 3) დღის 3 ს. 40 წ. (4 ს. 38 წ.).

ორპირისაკენ—დღის 2 ს. (2 ს. 58 წ.).

საავადმყოფოები:

ქალაქის სახელმწიფო საავადმყოფო, მიხეილის ქუჩა, სახელმწიფო სახლი. ფასი საერთო ოთახში—12 მან. ცალკე ოთახში—60 მან. თვეში.

ქალაქის სამკურნალო. მუხრანის ქუჩა, სახლი ტერ-ოსიფოვისა. რჩევა 30 კაპ., ღარიბთათვის რჩევაცა და წამლობაც უფასოა. სამკურნალოს გამგე ექიმი გ. თარხნოვი.

ქალაქის სამკურნალოს განყოფილებანი:

ავლაბრისა, კახეთის ქუჩა, სახლი ტერტეროვისა. გამგე ექიმი მირაქოვი.

კუკიისა, ალექსანდროვის ქუჩა, სახლი მელქუმოვისა. ექიმი ნ. კასუმოვი.

ხარფუხისა, ვორონცოვის ქუჩა, სახლი ედიგაროვისა. ექიმი ტერ-ასატუროვი.

თვალების სამკურნალო, ელისაბედის ქუჩა, სახლი ჩითახოვისა. ავადმყოფებს უფასოდ აძლევენ რჩევას, გამგე ექიმი გ. ტარსაიძე.

ქალაქის საავადმყოფო სულით ავადმყოფთათვის, უფასო, იმყოფება კოჯრის ქუჩაზე, ბარონის, ტიზენჰაუზენისა და ეჯუბოვის სახლში. ექიმი მ. გედევანიშვილი.

სიფილისით ავადმყოფ ქალთათვის საავადმყოფო იმყოფება ავლაბარში, პეტრე-პავლეს ეკლესიასთან. 25 ადგილი უფასოა, 15 ადგილი—ფასიანი. თვეში ღირს 12 მან. გამგე ექიმი ისტამანოვი.

გადამდებ სენით ავადმყოფთათვის უფასო საავადმყოფო. გამგე ექიმი გულულიანცი.

ქალაქის უფასო ღამე თავ-შესაფარი სახლები:

1) ვორონცოვის ქუჩა, მექქსე ნაწილი, სახლი მელიქიანცისა.

2) დიდუბეში, სახლი გოდლიუსტისა.

განცხადებანი

ტფილისის ქალაქის

გამგეობა

ამით საყოველთაოდ აცხადებს, რომ 27 ამა აპრილს, შუადღის 12 საათზე, მის თანადასწრებით მოხდება საჯარო ვაჭრობა, რომლით გაიცემა იჯარით ქილაქისათვის ქუჩების გასანათებლად 20.000 ფუთი კეროსინის მიწოდება წელიწადში. დაწვრილებით პირობები მსურველს შეუძლია მიიღოს გამგეობის მე-4 განყოფილებაში ყოველდღე კვირა-უქმების გარდა დილის 9 საათიდან ნაშუადღევის 3-მდე. (ნ. 3—1)

ზიხ

ნახშირის საწყობი

ივანე მამინაიშვილისა

(საკუთარი ტყიდან)

კუკის მოედანზე, ყაზარმებთან

ისყიდება საუკეთესო გაცხავებული და მშრალი **ნახშირი.**

შინ მიტანით 1 **ფუთი 40 კაპ.**

ტელეფონი № 754. (წ.).

«წიგ. გამომც. ქართველთა ამხანაგობის»

კიოსკში,

ლორის-მელიქოვის ქუჩა, ალექსანდროვის ბაღის კუთხეში, იყიდება ამხ. გამოცემული წიგნები:

	მ.	კ.
დაბადება და აღზრდა ერეკლე ბატონიშვილისა—ჰოუმა ბაჩანასი.	—	10
იოსებ დავითაშვილის ლექსები	—	50
ალ. ყაზბეგის I, II და III ტომი თითო	1	—
იგივე IV ტომი კარგ ქაღალდზე	1	50
ი. ჭავჭავაძის I ტომი	—	70
იგივე II და III ტომი თითო	—	60
იგივე IV ტ. ორ წიგნათ.	—	80
სოფლის კუნწულა—დ. მაჩხაანელისა	—	10
სიბრძნე-სიცრუე—საბა სულხან ორბელიანისა.	—	40
აკაკი წერეთლის I და II ტომი თითო	—	60
რაფ. ერისთავის I ტომი	—	60
საქართველოს წარსული დრო—ჰოტტოსი	—	30
სამზარეულო—ქართული და ევროპიული საჭმელებისა.	1	20
აივენგო, რომანი—ვალტერ სკოტისა	—	50
სიბრძნე ბალავარისა	—	30
და-მამად-ხანის შემოსვლა ტფილისში	—	15
ღვინის დაყენება პროფეს. გ. პეტრიაშვილისა	1	50
რძე, მისივე	1	50
ცეცხლითა და მახვილითა, რომანი—გენრიკ სენკევიჩისა	—	80
დასტურ-ლამა	—	20
ტარტიუფი, კომედია 5 მოქ. მოლიერისა	—	09
სურათები საქართველოს მეფეთა, დედოფალთა და ბატონიშვილთა.	—	20

პროვინციელთ შეუძლიანთ წიგნები ფას დადებით გაიწერონ, ხოლო გაწერილ წიგნების ფასის ერთი მესამედი პირველად უნდა წარმოადგინონ. მანეთზე ნაკლები ფული შეუძლიანთ ფოსტის მარკებით გამოგზავნონ. ფოსტის ადრესი: Тифлисъ Грузинское Издательское Товарищество.

ცინკოგრაფია

წიგნებ. გამომც. ქართველთა ამხანაგობისა

ვანქის დიდი ქუჩა, № 27, ტელეფონი № 372.

კლიშეების გაკეთება შეიძლება ფოტოგრაფიული სურათებიიდან ხელით ნახატებიდან.

ქ. ბათუმში

იყიდება გაზეთი „ცნობის ფურცელი“

სპ. ქელიძის წიგნის მაღაზიაში, შერემეტიევის ქუჩაზე, ნურიის ბაზარში, სასწორის პირდაპირ. (0—19)

მაღაზია

ნ. ა. საზაევისა და ფ. ს. ფილიპოვისა

ქ. ქუთაისში

გიმნაზიისა და ალექსანდრეს ქუჩების კუთხეში, ბულვარის პირდაპირ.

გვაქვს პატივი ვაცნობოთ პატივცემულ **ქუთაისის და ქუთაისის ახლო-მახლო სოფლების საზოგადოებას,** რომ ჩვენს მაღაზიაში გვაქვს მუდამ მრავალ-გვარი **ფარფორის და ფაიანსის საქონელი** სხვა-და-სხვა ხრუსტალის და შუშეულების ნაწარმოები, ვარშავისა და საზღვარგარეთელი ლამპები. საზღვარ-გარეთელი რკინეული საელემენტო ჭურჭლეულობა უმაღლესი ხარისხისა. სპილენძის ჭურჭლეულობა, სამოვრები და ყოველ-გვარი საოჯახო კუთვნილებანი. მელხიორის და ბრიჯაოს ნაწარმოებნი. ვენის გალუნული ბამბუკის სახლის ავეჯეულება. ინგლისური და ვარშავის კრაოტები და მატრაცები. სხვა-და-სხვა კედლის და სატუალეტო სარკეები. კლიონკები და ლინოლეუმები პოლისთვის. რუსული და საღვარ-გარეთელი გიტარები, სკრიპკები და სტრუნები ყოველ-გვარი. საეკკლესიო კუთვნილებანი.

ყველაფერი ისყიდება **ზომიერ ფასად და უვაჭროდ.**

გვაქვს პატივი ვაცნობოთ პატივცემულს საზოგადოებას, **რომ ამ წლის 1 მარტიდან** ჩვენგან ახლათ გაღებულს

სახელოსნოში მიიღება ყოველგვარი ხის საქმე

სახელდობრ: სახლის ავეჯეულობა, სკოლის ავეჯეულობა, ეკკლესიის კანკელები, შენობების კარ-ფანჯარა, „პადეზდის“ კარები და სხვა. სახელოსნოს მშრალ სახლებში მოთავსება-მოწყობა და ჩვენს საქმეში 30 წლის გამოცდა გვაბედვინებს დავაიმედოთ მუშტარი, რომ ჩვენს სახელოსნოში გაკეთებული საქმე საიმედო იქნება. ამისათვის სახელოსნო კისრულობს პასუხის გებას. აგრეთვე სახელოსნოვე კისრულობს ქალაქ გარედაც გაგზავნოს თავისი სეული ნივთები, სადაც კი ურმის გზა არის, რომ მუშტარს გაუადვილოს შრომა.

ადრესი: ფასანაურის ვიწრო ქუჩა (ვერაზე), საკუთარი სახლი, № 16.

(10—8) სახელოსნოს პატრონები ძმ. ვ. და დ. **გოცირიძეები.**

Дозволено цензурою Тифлисъ, 23 Апрѣля 1902 года.

ელექტრონით მბეჭდავი სტამბა წიგნების გამომც. ქართვ. ამხანაგობისა.